საქართველოს პარლამენტი

2024 წლის აგვისტოს თვის მაკროეკონომიკური გარემოს

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2024
სექტემბერი

2024 წლის აგვისტოს თვის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები*

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი

13.0%

ივლისი*

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპის პირველი შვიდი თვის საშუალო მაჩვენებელი **9.7%**

2024 წლის აგვისტოში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ **1.0%** შეადგინა, ხოლო საბაზო ინფლაცია **0.9%**-ით განისაზღვრა.



იანვარ - ივლისში* საქონლის ექსპორტი **1.3%**-ით შემცირდა, ხოლო იმპორტი **2.9%**-ით გაიზარდა.

ივლისში* ფულადმა გზავნილებმა **298.1** მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
ევროკავშირის ქვეყნები - **43.0%;**
აშშ - **16.9%;**
რუსეთი - **15.3%;**
სხვა ქვეყნები - **24.8%.**

ივლისში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე შემცირდა.

აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან **1.3%**-ით გამყარდა, ევროსთან მიმართებით კი **0.1%**-ით გაუფასურდა.

1. რეალური და ფისკალური სექტორი





<u>2024 წლის ივლისში,* წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური ზრდა 13.0%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.</u>

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2024 წლის ივლისში*, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 13.0%, შვიდი თვის საშუალო მაჩვენებელმა კი 9.7% შეადგინა.

ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი შეიტანა მშენებლობის, დამამუშავებელი მრეწველობის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, პროფესიულ, სამეცნიერო და ტექნიკურ საქმიანობებთან დაკავშირებულმა დარგებმა და ვაჭრობამ, ხოლო კლება დაფიქსირდა ენერგეტიკის სექტორში.

დღგ-ის საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებელმა 2024 წლის ივლისში* 14,782.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 19.8%-ით აღემატება.



<u>2024 წლის აგვისტოში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 1.0% შეადგინა.</u>

აგვისტოში, წინა წლის აგვისტოსთან მიმართებით, ინფლაციის დონე 1.0%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე ნაკლები. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ზრდის მიმართულებით გავლენა იქონია, ძირითადად, ფასების დინამიკამ ტრანსპორტზე, აგრეთვე ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე, სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე, განათლებაზე. აგვისტოში საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 0.9%-ით განისაზღვრა.

2024 წლის ივლისში* მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 2.7% შეადგინა.







<u>2024 წლის ივლისში* ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.</u>

ივლისში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 11.8%-ით, ხოლო ხარჯები 15.4%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი საოპერაციო სალდო 127.7 მლნ ლარით, ხოლო ასევე უარყოფითი მთლიანი სალდო 676.2 მლნ ლარით განისაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის ივლისში* საგადასახადო შემოსავლებმა 1,871.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 12.5%-ით აღემატება. განსაკუთრებით გაიზარდა ქონების გადასახადი (147.6%-ით), მოგების გადასახადი (67.6%-ით), დღგ (28.6%-ით), საშემოსავლო გადასახადი (14.6%-ით) და აქციზი (14.5%-ით). ამავე პერიოდში 19.6%-ით შემცირდა იმპორტის გადასახადი. პირდაპირი გადასახადების წილმა მთლიან გადასახადებში 36.9%, ხოლო არაპირდაპირმა გადასახადებმა 63.1% შეადგინა. ივლისში*, წინა წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით, არაფინანსური აქტივების დადებითი 55.9%-იანი (204.3 მლნ ლარით მეტი) ზრდა დაფიქსირდა.



<u>2024 წლის ივლისში*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე, როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები გაიზარდა.</u>

ივლისში*, წინა წლის ივლისთან* მიმართებით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 19.4%-ით მოიმატა და 55.3 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 22.7%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 15.2%-ით გაიზარდა. კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი წინა თვესთან შედარებით 0.95 პპ-ით შემცირდა და 44.1% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების ნახევარზე მეტი (53.7%) შინამეურნეობებზე მოდის (შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 85.8% ფიზიკურ პირებზეა, 14.2% კი ინდმეწარმეებზე). შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 37.1% სამომხმარებლო სესხია, ხოლო 63.7% უძრავი ქონებით არის უზრუნველყოფილი.

საქმიანობის სახეების მიხედვით, გაცემულ სესხებში ყველაზე მეტი - 21.3% გაცემულია მშენებლობის დარგში, 20.7% - ვაჭრობის, 17.4% - მრეწველობის, 13.3% - უძრავი ქონებით ოპერაციების, 7.2% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.



2. საგარეო სექტორის ინდიკატორები



<u>2024 წლის იანვარ-ივლისში*, წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით, საქონლის ექსპორტი მცირედით შემცირდა, ხოლო იმპორტი შედარებით გაიზარდა.</u>

კერძოდ, ექსპორტმა 1.3%-ით დაიკლო, ხოლო იმპორტმა 2.9%-ით მოიმატა, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 1.6%-ით გაიზარდა და 12,566.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 28.1%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა: აშშ-ში (82%), ყირგიზეთში (67%), ყაზახეთში (26%), უზბეკეთში (19%), უკრაინაში (13%) და სხვა. ექსპორტი შემცირდა სომხეთში (30%), ჩინეთში (28%), აზერბაიჯანში (17%), რუსეთში (2%) და სხვა.

იანვარ - ივლისში* საექსპორტო საქონლის მიხედვით განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა ძვირფასი ლითონების მადნების (227%), ფეროშენადნობის (81%), სპირტიანი სასმელების (65%), მინერალური და მტკნარი წყლის (26%), ღვინის (16%), უალკოჰოლო სასმელების (12%), ოქროს (12%), მსუბუქი ავტომობილების (1%) ჯგუფებში. შემცირდა აზოტოვანი სასუქების საზღვარგარეთ გატანა (-31%).



2024 წლის იანვარ - ივლისში* ტრანსპორტირების სახეების მიხედვით ექსპორტის უდიდესი ნაწილი - 72.5% საავტომობილო ტრანსპორტით განხორციელდა, 18.3% - საზღვაო, 4.4% - საჰაერო, 3.3% კი სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) სახეების წილმა 1.4% შეადგინა.



ამავე პერიოდში იმპორტის უდიდესი ნაწილი - 47.8% საავტომობილო ტრანსპორტირებით განხორციელდა, 35.3% - საზღვაო, 7.7% - საჰაერო, 6.7% კი სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) სახეების წილმა 2.5% შეადგინა.



იანვარ - ივლისში* საქართველოს ადგილობრივი ექსპორტი 1,586.5 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 7.2%-ით ნაკლებია. აღნიშნულ პერიოდში 10 უმსხვილეს ქვეყანას სადაც ადგილობრივი ექსპორტი განხორციელდა წარმოადგენდა: რუსეთი (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 20.5%), თურქეთი (16.3%), ჩინეთი (9.9%), სომხეთი (5.3%), აშშ (5.1%), აზერბაიჯანი (4.4%), შვეიცარია (3.7%), უკრაინა (3.2%), ყაზახეთი (2.7%) და ბულგარეთი (2.4%).

ფულადი გზავნილები **(%)**
ჩარიცხვები, ივლისი



<u>2024 წლის ივლისში* ფულადი გზავნილები მცირედით შემცირდა.</u>

ივლისში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, საქართველოში ფულადი გზავნილების ჩარიცხვები 1.8%-ით შემცირდა და 298.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 43.0%) და აშშ (50.3 მლნ აშშ დოლარი, 16.9%) წარმოადგენდნენ. რუსეთიდან გზავნილები კი 39%-ით შემცირდა, მესამე ადგილზე გადაინაცვლა და 45.5 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა (წილი 15.3%).

გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გზავნილების მოცულობამ მოიმატა: იტალიიდან (48.9 მლნ აშშ დოლარი, წილი 16.4%), აგრეთვე გერმანიიდან (24.7 მლნ აშშ დოლარი), საბერძნეთიდან (23.2 მლნ აშშ დოლარი), ისრაელიდან (21.7 მლნ აშშ დოლარი), ყაზახეთიდან (10.5 მლნ აშშ დოლარი), თურქეთიდან (9.2 მლნ აშშ დოლარი) და სხვა ქვეყნებიდან.



მთლიანი საერთაშორისო რეზერვები
(მლნ აშშ დოლარი)



<u>2024 წლის აგვისტოში საერთაშორისო რეზერვებმა 4,842 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.</u>

აგვისტოში საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 4,842 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2023 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 10.9%-ით ნაკლები, ხოლო წინა თვესთან მიმართებით 3.7%-ით მეტია.

2024 წლის აგვისტოში საქართველოს ეროვნულ ბანკს სავალუტო აუქციონზე სავალუტო ოპერაციები არ განუხორციელებია.

რეზერვების ადეკვატურობის შესაფასებლად, როგორც წესი, გამოიყენება 3 თვის იმპორტის ჯერადი.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ <u>ბმული .</u>

3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

2024 წლის ივლისში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მონეტარული ბაზა გაიზარდა.

ივლისში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მონეტარულმა ბაზამ 5.3%-ით მოიმატა. მათ შორის, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული 15.2%-ით გაიზარდა, ხოლო სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმართ ვალდებულებები 4.2%-ით შემცირდა.

ამავე პერიოდში ფულის M2 აგრეგატმა 21.5%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 17.0%-ს გაუტოლდა. 2024 წლის აგვისტოში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 1.0% შეადგინა.

ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები
(%-ლი ცვლილება)



2024 წლის აგვისტოს ბოლოს მთავრობის მიერ ემიტირებულმა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნომინალურმა ღირებულებამ 8,984.4 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის, 65.6% კომერციული ბანკების მფლობელობაშია, 19.2% - ეროვნული ბანკის, ხოლო 15.2% - სხვა რეზიდენტი და არარეზიდენტი კლიენტების მფლობელობაში (რეზიდენტი - 11.8%, არარეზიდენტი - 3.4%).

სახაზინო ფასიანი ქაღალდები მფლობელების მიხედვით
(აგვისტო)



2024 წლის ივლისში*, კომერციული ბანკების მიერ მოზიდულმა დეპოზიტების საერთო მოცულობამ (ნაშთმა) 57,324.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 17.2%-ით აღემატება. მათ შორის, ეროვნულ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა 50.5% შეადგინა, შესაბამისად, უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებმა კი 49.5%.

ივლისის* თვის ბოლოს არსებული მონაცემებით, ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 63.0% იურიდიულ პირებს, ხოლო 37.0% ფიზიკურ პირებს ეკუთვნის.

ამავე პერიოდში უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 66.1% ფიზიკური პირების საკუთრებაა, ხოლო 33.9% იურიდიული პირების მფლობელობაშია.

დეპოზიტები
(ივლისი)



ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 48.9% ვადიანი დეპოზიტებია, 25.8% მიმდინარე ანგარიშები, ხოლო 25.2% მოთხოვნამდე დეპოზიტები.

უცხოური ვალუტის შემთხვევაში, ყველაზე დიდი წილი ვადიან დეპოზიტებს უკავია (39.1%), შემდეგ - მოთხოვნამდე დეპოზიტებსა (32.6%) და მიმდინარე ანგარიშებს (28.3%).



<u>2024 წლის ივლისში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე შემცირდა.</u>

ივლისში*, წინა თვესთან მიმართებით, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.39 პპ-ით შემცირდა და 46.3%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა კი 0.95 პპ-ით მოიკლო და 44.1% შეადგინა.

ივლისის თვეში*, წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტით განთავსებულმა დეპოზიტებმა 2.7%-ით, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობამ 1.1%-ით მოიმატა.



2024 წლის ივლისში*, სამომხმარებლო სესხების მოცულობამ 11,151.0 მლნ ლარი შეადგინა, ანუ წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 29.0%-ით მეტი. მათ შორის, გრძელვადიანი სესხების წილი 96.4%-ია, ხოლო მოკლევადიანის - მხოლოდ 3.6%.



ამავე პერიოდში, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობამ 37,500.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 20.7%-ით აღემატება. აქედან, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების წილი 48.8%-ია, ხოლო უცხოური ვალუტით - 51.2%.



ივლისის* ბოლოს არსებული მონაცემებით, რეგიონების მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში სესხების 62.6% გაცემულია თბილისში, 7.9% - იმერეთში, 7.4% - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 5.6% -კახეთში, 4.7% - ქვემო ქართლში, 4.2% - სამეგრელო-ზემო სვანეთში. სხვა რეგიონებში გაცემული სესხების წილი შედარებით მცირეა.

2024 წლის ივლისში*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.1 პპ-ით, ხოლო სესხებზე 0.3 პპ-ით გაიზარდა.

ივლისში* საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 13.0% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 7.0%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) ივლისის* მდგომარეობით 6.0% შეადგინა, 0.60 პპ-ით მეტი წინა წლის ივლისთან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2024 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით, რეფინანსირების განაკვეთი უცვლელი დარჩა და კვლავ 8.00% შეადგინა.





2024 წლის აგვისტოში, წინა თვესთან მიმართებით, ლარი აშშ დოლარის მიმართ გამყარდა, ხოლო ევროს მიმართებით მცირედით გაუფასურდა.

აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 1.3%-ით გამყარდა, ევროს მიმართ 0.1%-ით გაუფასურდა, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 3.5%-ით გამყარდა. ამავე პერიოდში გამყარდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსიც. რაც შეეხება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებას, აგვისტოში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.9%-ით, ევროს მიმართ 3.6%-ით გაუფასურდა, თურქულ ლირასთან მიმართებით კი 21.3%-ით გამყარდა.

აგვისტოს თვეში პერიოდის საშუალო ლარის გაცვლითმა კურსმა აშშ დოლართან მიმართებით 2.70, ევროსთან მიმართებთ 2.97, თურქულ ლირასთან მიმართებით კი 0.08 შეადგინა.

4. სოციალური სფეროს მიმოხილვა

2024 წლის I კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გაიზარდა.

2024 წლის I კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა 1,943.4 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 13.2%-ით მეტია (227 ლარით მეტი), ხოლო წინა კვარტალთან მიმართებით - 4.9%-ით ნაკლებია (101 ლარით ნაკლები).

რაც შეეხება დარგების მიხედვით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ცვლილებას, 2024 წლის I კვარტალში ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი დაფიქსირდა საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების დარგში 4,519 ლარის ოდენობით (20.2% წლიური ზრდა), აგრეთვე ინფორმაცია და კომუნიკაციისა (3,957 ლარის ოდენობით, 9.0% წლიური ზრდა) და პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების დარგებში (2,673 ლარის ოდენობით, 12.0% წლიური ზრდა).





2024 წლის ივლისის* თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, გაიზარდა როგორც განათლებაზე, ასევე ჯანდაცვაზე გაწეული სახელმწიფო დანახარჯები.

ივლისში* განათლებაზე გაწეულმა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 387.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით 36.6%-ით მეტია. ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები კი 246.8 მლნ ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2.5%-ით მეტი.

5. რეგიონული მიმოხილვა

2024 წლის აგვისტოში, რეგიონის ქვეყნებში, თურქეთის გარდა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით მსგავსი დინამიკით ხასიათდება.

კერძოდ, საანალიზო პერიოდში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 52.0% შეადგინა, ხოლო სომხეთში 1.3% დაფიქსირდა. რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2024 წლის ივლისის* მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აზერბაიჯანში 2.7%-ით, ხოლო რუსეთში 9.1%-ით გაიზარდა.





2024 წლის აგვისტოს თვეში, რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსები, რუსული რუბლის გარდა, აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურდა.

კერძოდ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აგვისტოში აშშ დოლართან მიმართებით ქართული ლარი (2.9%-ით), თურქული ლირა (19.9%-ით), სომხური დრამი (0.5%-ით) და აზერბაიჯანული მანათი (0.1%-ით) გაუფასურდა, ხოლო რუსული რუბლი (7.0%-ით) გამყარდა.

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

	აგვ 23	სექ 23	ოქტ 23	ნოე 23	დეკ 23	იან 24	თებ 24	მარ 24	აპრ 24	მაი 24	ივნ 24	ივლ 24	აგვ 24
მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	5.8	5.1	6.2	5.9	8.3	5.8	9.5	8.2	11.8	9.2	7.5	13.0	
დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	4.2	3.0	6.0	2.6	4.6	1.4	11.8	8.5	19.1	10.7	10.7	19.8	
ინფლაცია (%)	0.9	0.7	0.8	0.1	0.4	1.4	0.3	0.5	1.5	2.0	2.2	1.8	1.0
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	10.25	10.00	10.00	10.00	9.50	9.00	9.00	8.25	8.25	8.00	8.00	8.00	8.00
დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.49	0.48	0.48	0.48	0.49	0.47	0.47	0.47	0.46	0.45	0.47	0.47	
სესხების დოლარიზაცია (%)	0.45	0.45	0.45	0.45	0.45	0.45	0.44	0.45	0.45	0.46	0.45	0.44	
გაცვლითი კურსი (ლარი)	2.6	2.6	2.7	2.7	2.7	2.7	2.7	2.7	2.7	2.7	2.8	2.7	2.7
გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	287,006	283,878	283,006	292,733	308,286	265,093	266,386	280,934	278,515	284,309	281,091	298,118	
ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	493	526	491	482	514	339	465	523	437	502	582	685	
იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	1,411	1,382	1,361	1,297	1,369	1,101	1,179	1,224	1,447	1,396	1,266	1,420	
სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-918.2	-856.0	-870.5	-814.8	-854.5	-762.7	-714.6	-701.6	-1,009.3	-894.2	-684.3	-735.7	
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	5,437	5,273	5,119	5,122	5,010	4,853	4,746	4,777	4,814	4,600	4,581	4,671	4,842
შემოსავლები (მლნ ლარი)	1,722	1,821	1,913	1,831	2,122	2,116	1,823	2,384	2,050	2,010	2,495	2,066	
მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1,269	1,496	1,626	1,581	1,947	1,716	1,676	1,558	1,904	1,697	1,587	2,193	
კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	659	616	469	545	1,109	402	420	430	424	459	567	570	

ზრდა კლება ცვლილება < 1%

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან



ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან



დოკუმენტი ინტერაქტიულ ფორმატში
შეგიძლიათ იხილოთ

ინტერაქტიული სტატისტიკა (ინფოგრაფიკები)
შეგიძლიათ იხილოთ

საქართველოს პარლამენტი